ხობის მოამბე

№20 (7079) 21 ოქტომბერი, პარასკევი, 2016 წელი.
ფასი 0,70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

„თვითშემეცნებაა უკეთესი წარმატებული საქმიანობის ყოველგვარის საფარველისა. საცა ეხება ადამიანთა ყოველგვარ ცხოვრებაზე... ყოველი საზოგადოებრივი, ოჯახურ წესზედ

ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢ

გიორგი კვირიკაშვილი— იმიტომ გვინდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ჩვენი დანაპირები შევასრულოთ

სწორედ იმიტომ გვინდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ჩვენი დანაპირები შევასრულოთ,–ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, საკონსტიტუციო უმრავლესობასთან დაკავშირებით ატყდა არაჯანსაღი სპეკულაციები.

„აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, რაც ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, არის უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. ამიტომ ეს აბსოლუტურად არაჯანსაღი სპეკულაცია, რომ დაიღუპა ქვეყანა დღეს, რადგან „ქართული ოცნება“ იმარჯვებს საკონსტიტუციო უმრავლესობით, არის ძალიან ხელოვნური. ჩვენ გვქონდა წარსულში პრეცედენტი, როდესაც კონსტიტუცია იყო მორგებული ერთ კაცზე და ერთ პოლიტიკურ ძალაზე, რამაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. ჩვენ სწორედაც იმიტომ გვინდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ჩვენი დანაპირები შევასრულოთ ჩვენი ამომრჩევლის წინაშე და ის ძალიან დინამიკური და ამბიციური განვითარების გეგმა, რომელზეც ჩვენ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვსაუბრობდით და რომლის განხორციელებაც დავიწყეთ, მივიყვანოთ ბოლომდე, რაც ნიშნავს იმას, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში საქართველოში უნდა შეიქმნას ეკონომიკური განვითარების უპრეცედენტოდ მაღალი დინამიკა და ქვეყანამ მოახდინოს ძალიან მნიშვნელოვანი გარღვევა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარების მიმართულებით და ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე გააგრძელოს ის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც დაწყებულია. ამისთვის გვინდა ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობა და ეს არის უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეული ამომრჩევლის წინაშე“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგად, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება. „ეს მხოლოდ და მხოლოდ არის მეორადი და მხოლოდ და მხოლოდ არის იმისთვის, რომ თითოეული ჩვენი დანაპირები შესრულდეს, რა თქმა უნდა, თუ იქნება ჩვენი მოქალაქეების ნება“,–დასძინა პრემიერმა.

ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმატორთა ჯგუფის პრეზიდენტი საქართველოს მხარდაჭერას ჰპირდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხელ ჯანელიძემ ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმატორთა ჯგუფის (ECR) ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში ჯგუფის პრეზიდენტთან, ევროპარლამენტის წევრ საიდ კამალთან შეხვედრა გამართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ECR-ის პრეზიდენტმა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელს კონფერენციაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ევროპარლამენტში მათი პოლიტიკური ჯგუფის აქტიურ მხარდაჭერას საქართველოსადმი.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ECR-ის პოლიტიკურ ჯგუფთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხებს. მინისტრმა ევროპარლამენტარს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმების, ასევე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების შესახებ. აღინიშნა კონსერვატორებისა და რეფორმატორების ჯგუფის ჩართულობისა და მათი მხარდაჭერის მნიშვნელობა საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დაგეგმილი რეფორმების განხორციელების პროცესში, რაც მიზნად ისახავს საქართველოს კიდევ უფრო დაახლოებას ევროკავშირის ინსტიტუტებთან და ევროპულ სტანდარტებთან. უაღრესად დადებითად შეფასდა ევროპარლამენტის კომიტეტების მიერ საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება, ECR-ის პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს პროცესის წარმატებით დასრულებაში შემდგომი მხარდაჭერა აღუთქვა.

ევროპარლამენტარ საიდ კამალთან შეხვედრაზე ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიდ ბრიტანეთთან ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. ევროპარლამენტარმა გამოთქვა მზაობა ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებას. აღინიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მნიშვნელოვანი მოკავშირე მრავალი მიმართულებით, ბრექსიტის მოვლენების შემდგომ კი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ორმხრივი კავშირების განვითარება, განსაკუთრებით კი დიდი პოტენციალი არსებობს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევროპის კონსერვატორთა და რეფორმატორთა ჯგუფის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია.

„დემოკრატიის ხელშეწყობის თვალსაზრისით, საქართველო რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი ლიდერია“

ამერიკელი კონგრესმენები ერიკ პოლსენი და ბილ კიტინგი საქართველოში 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხმიანებიან და ქართველ ხალხს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავენ.

„ვულოცავ ქართველ ხალხს თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და დემოკრატიის მიმართ მტკიცე ერთგულების დემონსტრირებას“,–ნათქვამია ერიკ პოლსენის განცხადებაში.

კონგრესმენი ბილ კიტინგი მაღალ შეფასებას აძლევს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების კუთხით გაწეულ სამუშაოს, რაც, მისი თქმით, უზრუნველყოფს იმას, რომ მთავრობა ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდეს.

„თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებულმა არჩევნებმა საქართველო, დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობის თვალსაზრისით, მთელს რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვან ლიდერად აქცია“,–წერს ბილ კიტინგი.

ბილ კიტინგი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში არჩევნების მეორე ტურიც მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ჩატარდება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს, როგორც დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით ლიდერის პოზიციას.

ევროკავშირი მზად არის, დემოკრატიული გზით არჩეულ საქართველოს ახალ პარლამენტთან იმუშაოს

ევროკავშირი მზად არის, იმუშაოს დემოკრატიული გზით არჩეულ საქართველოს ახალ პარლამენტთან და მთავრობასთან საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ და მოუწოდებს ახალ პარლამენტში არჩეულ ყველა წარმომადგენელს, იმუშაონ ერთად საქართველოს ინტერესებისთვის. ამის შესახებ საუბარია ევროკავშირის საბჭოს 2016 წლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, საერთო ჯამში, მშვიდობიანად და ორგანიზებულად ჩატარდა. „მიუხედავად ძალადობის ზოგიერთი ინციდენტისა საარჩევნო უბნებთან და უბნებზე, OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინასაარჩევნო შეფასებით, არჩევნები იყო კონკურენტუნარიანი, კარგად ადმინისტრირებული და ჩატარდა ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვით“,–ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას, რომელიც მიმართულია საქართველოს „სეპარატისტულ რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“ მომხდარი კონფლიქტების შედეგების დაძლევისკენ, მათ შორის ევროკავშირის სამონიტორინგო მისიისა და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის აქტივობის საშუალებით.

„ევროკავშირი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პოლიტიკის ერთგული კვლავ იქნება“,–ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს ანგარიშში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

იუსტიციის მინისტრმა ხობი მაამორჩეულთა შორის დაასახელა

6 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიწის რეგისტრაციის რეფორმის მიმდინარეობის ორი თვის შედეგები შეაჯამა. უპრეცედენტო პროექტი, რომელმაც მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა, ხოლო პროცედურები მაქსიმალურად გაამარტივა, 1 აგვისტოდან დაიწყო.

იუსტიციის მინისტრმა ანგარიშის წარდგენისას საჯარო რეესტრთან საკუთარი მოსახლეობის ინტერესში თანამშრომლობის მაღალი ხარისხით ადიგენის, ხობის, ცაგერის, მცხეთის, დუშეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები დაასახელა.

ყულევის ნავთობგზერმინალში 2 დამატებითი სარეზერვუარო პარკი გაიხსნა

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ილია ელოშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე კობა ქანთარია, კომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ყულევის ნავთობტერმინალში, ორი დამატებითი სარეზერვუარო პარკის გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ. ტერმინალზე დამატებითი პარკების მშენებლობა 2015 წელს დაიწყო. №5 ახალი რეზერვუარების პარკი შედგება 6 რეზერვუარისგან, რომელთა საერთო მოცულობა 60000 კუბურ მეტრს შეადგენს. სხვადასხვა სახის პროდუქციის, მათ შორის–გაზოილის, ნავთის, ნახშირწყალბადის აირის კონდენსატის, დიზელის საწვავისა და საავიაციო ნავთის მიღების, შენახვისა და დატვირთვის აშენებული ეს ობიექტი გამიზნულია კასპიის რეგიონიდან ნავთობპროდუქტების იმპორტისა და ექსპორტისათვის. სამომავლოდ ობიექტზე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სავარაუდო ტვირთბრუნვა ყოველწლიურად 1500000მტ. მიაღწევს. №6 ახალი რეზერვუარების პარკი შედგება 5 რეზერვუარისგან, მათი საერთო მოცულობა 12000 მ3 შეადგენს, მათ შორის 2 ერთეული–3000- მ3 და 3 ერთეული–2000 მ3. რეზერვუარების პარკი დაპროექტებულია თხევადი პიროლიზის ფისის, იზოპროპილის სპირტისა და სამრეწველო ზეთის შესანახად. საკუთარი პრინციპების დაცვისა და დასახული მიზნების მისაღწევად კომპანიამ, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, დანერგა და მუდმივად მუშაობს მართვის ინტეგრირებული სისტემის სრულყოფაზე. შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ მართვის ინტეგრირებული სისტემა სერტიფიცირებულია ISO 9001, ISO 1400 & OHSAS 18001 სტანდარტების შესაბამისად - UKAS აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანიზაციის შპს “Moody International”-ის მიერ 2008 წელს.

წყალსადენის ქსელის მოწყობის შედეგად 405 ოჯახს სასმელი წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება

ხობის მუნიციპალიტეტის ზემო ქვალონის და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში, წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

ღონიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით, 405 ოჯახს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა მოეხსნა და წყალი 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება.

წყალსადენის ქსელის მოწყობა, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 521093 ლარი შეადგინა.

წყალსადენის ქსელის პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ლევან შონიას მხარდაჭერით განხორციელდა.

ხობში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა იწყება

27 სექტემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ხობის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა. შეხვედრას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები, მწვრთნელები, სპორტსმენები და სპორტის სფეროში დასაქმებული ადამიანები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე, მგფ-ის წარმომადგენლებმა სპორტული კომპლექსის არქიტექტურაზე, დაფინანსების წყაროებზე და მშენებლობის პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს. ხობის მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის პროექტში გათვალისწინებულია ჭიდაობის, კრივის, ბილიარდის, ჭადრაკის, მკლავჭიდის, კინოს და საკონფერენციო დარბაზების, საუნას, სამედიცინო ოთახების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობა. სპორტული კომპლექსის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება და მისი ღირებულება 2 მილიონ 500 ათასი ლარია. ინფრასტრუქტურული პროექტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ლევან შონიას მხარდაჭერით ხორციელდება.

ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის საღგურის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP III) ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი ხობის მუნიციპალიტეტში მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.

შიდასახელმწიფოებრივი გზის ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის 10.5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და პროექტის საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება 5963000 ლარს შეადგენს.

გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა: სახიდე გადასასვლელი, ხელოვნური ნაგებობები, ეზოების შესასვლელები, საგზაო ნიშნები;

სარეაბილიტაციო გზა იწყება ქ. ხობში, მდ. ხობის ხიდთან, გაივლის სოფ. მეორე გურიფულს, გაღმა პირველ ხორგას, ახალსოფელს და მთავრდება რკინიგზის სადგურთან.

სასპორტო სკოლის ინვენტარი განახლდა

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ, სასპორტო სკოლის ჭადრაკის, სამბოს, კრივის, კარატეს, მძლეოსნობის, რაგბის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და მკლავჭიდის ჯგუფებისთვის შეძენილიქნა 11835 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი.

სოფელი

„ერთმანეთის მხარდაჭერით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება“

ყოველ წელს თავისებური სიძნელეები და სირთულეები ახლავს, მაგრამ ადამიანები იმედის მომცემი დღეების მოლოდინში არიან და ხშირად უმართლებთ კიდევაც. ხვალ რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სოფელი შუა ხორგა ხობის მუნიციპალიტეტის ერთ მცირედ ნაწილს წარმოადგენს, 515 კომლით და 1500-მდე მაცხოვრებლით, ამიტომაც ყველა ის შესამჩნევი პოზიტიური ძვრები, რაც 2012 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განხორციელდა, ჩვენს სოფელშიც იგრძნობა.

გასული 2013–2015წწ. „მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამით“ გათვალისწინებული სიკეთით სოფელში მიწის ყველა მესაკუთრემ ისარგებლა. ამ პროგრამით ხალხმა წლებით დაუმუშავებელი მიწა მოხნა. გარდა ამისა, შეიძინა სასუქი, შხამქიმიკატები და სასოფლო სამეურნეო ინვენტარი. პროგრამა თავისი მასშტაბით უპრეცედენტო იყო 2013 წელს, რამაც ხალხში დიდი მუხტი შემოიტანა და უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია.

2014 წელს ფერმერთა დახმარების პროგრამაში კორექტირების შეტანის შემდეგ, რაც იმაში გამოიხატება, რომ იმ ბენეფიციარებმა, რომლებსაც მფლობელობაში აქვთ 1,25 ჰექტარზე მეტი სახნავი მიწა, ამ დახმარებით ვერ სარგებლობენ. შუა ხორგაში ასეთი 48 ბენეფიციარია, დანარჩენმა ხვნის ბარათები დროულად მიიღეს მიმდინარე წელს. ასევე ეტაპობრივად მიიღეს აგრობარათებიც და ამჟამად შეუფერხებლად მიმდინარეობს სიმინდის მოსავლის აღება.

შუა ხორგაში ძირითადად მესაქონლეობას და მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევენ, ხალხი შრომისმოყვარეა, შრომას თან ყოველთვის ბარაქაც ახლავს ხოლმე, სოფელში გლეხკაცს შეუძლია ათობით ჰექტარი ფართობის დამუშავება, მაგრამ ათეული წელია მიწის ფართობები სოფელში სანახევროდ არ მუშავდებოდა საჭირო ტექნიკისა თუ თანხების უქონლობის გამო, მაგრამ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, გლეხმა შეძლო წლობით მიწის ნაკვეთების დამუშავება, რომლებსაც წლებია ვერ ამუშავებდნენ.

იმედია, ამ პროგრამას მთავრობა ისევ გააგრძელებს და ფერმერებს მეტ ყურადღებას მიაქცევს, რათა მან შეძლოს მინერალური სასუქის ყიდვა ხელმისაწვდომ ფასებში, ასევე შექმნას მეტი სამუშაო ადგილი, რათა სოფლებში მეტი ახალგაზრდა დასაქმდეს, ცხოვრება უფრო საინტერესო იქნება და თითოეული ოჯახი უფრო შეძლებული. თუ ოჯახი ძლიერია, სოფელიც ძლიერია, თუ სოფელი ძლიერია ქვეყანაც ძლიერია. ასე, რომ საჭიროა ხალხზე მეტი ზრუნვა, რაც ქვეყნის სიძლიერის ნიშანია.

სოფელში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა სასმელი წყლის მილებს 11 კილომეტრიან მონაკვეთზე. სოფელს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი. ამოწმენდილიქნა 200 ჰექტარზე სანიაღვრე არხები გამოღმა შუა ხორგაში, რაც გაგრძელდება მომავალ წელს გაღმა შუა ხორგაში. რეკონსტრუქცია გაუკეთდა სოფლის ცენტრში სპორტული მინი სტადიონს, სადაც დაგებული იქნა ხელოვნური მწვანე საფარი, გარემონტდა გასახდელი შენობა, შემოღობილიქნა ადმინისტრაციული შენობის ეზო, ასევე ნაწილობრივ შემოღობილიქნა მშენებარე ეკლესიის ეზო, რემონტი ჩაუტარდა და მოხრეშილიქნა სოფლის 5 კმ გზა. აშენდა თანამედროვე ტიპის მოსაცდელი.



წელს სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხით გარემონტდა სოფელში არსებული სამი სასაფლაოს ღობე. მიმდინარეობს ელექტროგამრიცხველიანების სამუშაოები.

განხორციელებული სამუშაოს ჩატარებაში ყველანაირ დახმარებას გვიწევს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა, რომელიც ამავე დროს, მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩვენი სოფლის არჩეული დეპუტატია და ყოველმხრივ გვიდგას გვერდში.

ყველა სახის პროექტებით და პროგამებით შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში გაწეული სამუშაოების ღირებულებამ 4 წელიწადში შეადგინა 1,5 მილიონი ლარი. რაც უპრეცედენტო შემთხვევაა წინა ხელისუფალთა 20 წლიან პერიოდთან შედარებით.

სოფელში ფუნქციონირებს ერთი საჯარო სკოლა (დირექტორი გულნარა ტაბაღუა). მოსწავლეთა კონტინგენტი შეადგენს 220 მოსწავლეს, სკოლას ემსახურება 24 პედაგოგი, რომელთა შორის სერთიფიცირებულია 5 პედაგოგი (ნანი სალაყაია, დიანა ბერაია, როგნეტა ქარდავა, ზაირა ჩემია და ელისო გვასალია), სკოლას გააჩნია კომპიუტერული კაბინეტი, სადაც მოსწავლეები ამ კუთხით სრულფასოვან ცოდნას იღებენ. ყოველწლიურად სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ გამოცდებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სრული, ისე ნახევარი გრანტით. სკოლის პრობლემატურ საკითხებს წარმოადგენს: სპორტული დარბაზი, სადაც ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარება შეუძლებელია და ითხოვს რემონტს; სკოლის ეზო მოითხოვს შემოკავებას. სკოლას მისი შემოკავების და დარბაზის რემონტის საშუალება არ გააჩნია, ხოლო ჩვენ სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხის მიმართვაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, უარი გვითხრეს, როგორც სხვა სამინისტროს უძრავ ქონებაზე.

სოფელში ფუნქციონირებს ორი საბავშვო ბაღი. შუა ხორგის საბავშვო ბაღში (მთავარი სპეციალისტი ინეზა ესებუა) 7 თანამშრომელი ირიცხება 35 აღსაზრდელით, ყორათის საბავშვო ბაღში 4 თანამშრომელია (მთავარი სპეციალისტი მირანდა ყურუა) კვება ორივე ბაღში სამჯერადია. კერძები ხარისხიანი და ყუათიანი, ყოველივე ამაში დიდ დახმარებას გვიწევს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (დირექტორი ქალბატონი ელისო კვიკვინია). ზემოთ დასახელებული ბაღებიდან ერთი განთავსებულია სოფლის ყოფილი აბანოს შენობაში, რომელიც ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს, სადაც მეტი აღსაზრდელის მიღება შეუძლებელია. მეორე ბაღი განთავსებულია ყოფილი სკოლის შენობაში (ს. ყორათში), რომელიც განათლების სამინისტროს ბალანსზეა, აღნიშნულ ბაღებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხებით ვერ ვეხმარებით, ვინაიდან შენობები სხვა სამინისტროების ბალანსზეა. შენობები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს.

სოფელში არსებობს ჩვენს ბალანსზე რიცხული თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღის შენობა, 80-მდე აღსაზრდელზე, სადაც დევნილები ცხოვრობენ. დევნილთა განსახლების სამინისტრომ წლებია ვერ უზრუნველყო მათი საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება, თუ არა, ჩვენ მზად ვართ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში უზრუნველვყოთ აღნიშნული ბაღის რემონტი, რათა სოფელში არსებული ორი ბაღი განთავსდეს ერთ შენობაში, რითაც უფრო კომფორტული გარემო შეექმნება როგორც ბავშვებს, ისე თანამშრომლებს.

სოფელში ფუნქციონირებს შპს „ერკოხი“ (დირექტორი კონსტანტინე ზერაგია), სადაც დასაქმებულია 6 ადამიანი. მოჰყავთ ერთწლიანი კულტურები და ბოსტნეული. ასევე ფუნქციონირებს შ.პ.ს. „კოლხეთი და კომპანია“ (დირექტორი კახა მიქაბერიძე), სადაც გააჩნიათ თევზის სატბორე მეურნეობა და მეხორცული მიმართულების მეფრინველეობა, სადაც დასაქმებული იყო 20-მდე ადამიანი, მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს დარგების სელექციური სამუშაოები და მუშათა რაოდენობა შემცირებულია, ასევე აპირებენ მეცხოველეობის დარგის განვითარებას, რისთვისაც მოძიებულია იჯარით ასაღები მიწის ფართობები 100 ჰექტარამდე, ამ კომპანიას აქვს განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობა.

სოფელში ინდ.მეწარმე პარმენ ქაცარავას გააჩნია სასათბურე მეურნეობა, სადაც მოჰყავთ ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი). მას გასაფართოებლად სახელმწიფომ საჩუქრად გადასცა 5000 ლარი გრანტის სახით, რითაც მეორე სათბურიც დამთავრების სტადიაშია და პირველ მოსავალს მიიღებს ადრე გაზაფხულზე, დასაქმებული ყავს 5 ადამიანი, გააჩნია საკუთარი მცირე გაბარიტიანი 2 ტრაქტორი და ტექნიკა.

ასევე, შარშან სოფელში ფუნქციონირება დაიწყო ინდ. მეწარმე გიზო ბერაიამ, რომელსაც იჯარით გააჩნია 9 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც სიმინდის და ლობიოს პირველ მოსავალს იღებს. დასაქმებული ყავს 5 ადამიანი. წელს გაფართოების მიზნით იჯარამ ელექტრონულ აუქციონზე მიიღო მონაწილეობა, სადაც გაიმარჯვა და დამატებით 9,1 ჰექტარი მიწის ფართობი მიუმატა თავის სახნავ ფართობს. სულ გააჩნია 18,1 ჰა ფართობი აპირებს დაფნის და თხილის კულტურების გაშენებას. რითაც დამატებით კიდევ 5 ადამიანს დაასაქმებს.

სოფელში ფუნქციონირებს სამედიცინო ამბულატორია, რომელსაც ემსახურება გამოცდილი და პროფესიონალი ოჯახის ექიმი სოფიო მალანია და მედდა ელისო დოლბაია, რომელთა მომსახურეობით კმაყოფილია მოსახლეობა.

ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, მას ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს ამ საქმეზე შეყვარებული ირმა მურღულია. ბიბლიოთეკას გააჩნია დიდი რაოდენობით ძველი და ახალი წიგნების უნიკალური ფონდი, რითაც სარგებლობს სოფლის მოსახლეობა და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული შედეგია 2012 წელს ჩატარებული დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების რეფორმებით, რის შედეგადაც მიღწევები მთელ რიგ სფეროში გაუმჯობესდა, სოფლის მეურნეობის, განათლების, სკოლამდელ აღსაზრდელთა, უმწეოთა, პენსიონერთა და განსაკუთრებით ჯანდაცვის კუთხით. ჩვენს სოფელში ძალიან ბევრმა ადამიანმა ისარგებლა საყოველთაო დაზღვევით, რამაც ხალხში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

არჩევნების დროს აღებული ვალდებულებები მთავრობის მიერ გათვლილი იყო რამდენიმე წელზე, რადგანაც მსგავსი მასშტაბის შეპირებების განხორციელება დროის ამ მონაკვეთში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. აღებულ ვალდებულებათა ძირითადი ნაწილი შესრულებულია ან შესრულების პროცესშია.

იმედია, ხალხის სასიკეთოდ კიდევ ბევრი რამ არის ჩაფიქრებული და უსათუოდ გაკეთდება, რაც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას გამოიწვევს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთმანეთის მხარდაჭერით, მუხლჩაუხრელი შრომით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდება სოფლისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, რითაც შევძლებთ ქვეყნის გაძლიერებასა და გამთლიანებას.

ვალერიანე ქაცარავა,

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში.

ხობის საპატიო მოქალაქე



ბატონ ანგულ მიქავას „ხობის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯეროვნად იქნა შეფასებული მისი განვლილი გზა, მისი ცხოვრების ხილული თუ უხილავი მონაკვეთები. ბატონ ანგულის, მთელი შეგნებული ცხოვრება, დაკავშირებულია ხობთან, მის განვითარებასთან მან აქტიური მუშაობით მოიპოვა ავტორიტეტი არა მარტო ხობში, არამედ მის გარეთაც. სწორედ ამიტომაც მიენიჭა მას წოდება, რომელსაც გამორჩეული ხობელები იღებენ ხოლმე. ცოტა რამ მასზე:

ანგული მიქავა, დაიბადა 1943 წელს, დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. მისი შრომითი ბიოგრაფია, ძალიან ტევადი და მრავლის მომცველია. 1971 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა ხობის რაიონის პატარა ფოთის მეურნეობაში ინჟინერ–მექანიკოსად, „საქსოფლტექნიკის“ ხობის გაერთიანების თავმჯდომარედ, ხობის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარედ, საქართველოს კპ. ხობის რაიკომის მეორე მდივნად, „კოლხიდმშენის“ ხობის საამშენებლო–სამრეწველო საწარმოს დირექტორად, ხობის რაიონის გამგებლად, შ.პ.ს ფერმერთა მომსახურების ცენტრის „ხობის“ დირექტორად, 2010–2013 წლებში იყო ამხანაგობა „სოფლტექსერვისის“ ამხანაგობის თავმჯდომარე, 2013 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ჯერ მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო შემდეგ, სამსახურის უფროსად, იყო (2015–2016 წლებში) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი.

ბატონ ანგულ მიქავას აქვს ნაღდი ქართული, ტრადიციული ოჯახი, რომლის დიასახლისი და ერთგული მეგობარია სახელოვანი ოჯახის შვილი, უცხო ენის სპეციალისტი, პედაგოგი ქალბატონი დოდო აბრამია. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ–ნანა, რომელიც სპეციალობით ექიმია და ნინო, რომელიც უცხო (ინგლისური, ფრანგული) ენების სპეციალისტია, პარალელურად დაამთავრა ჯიპა–საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

საუბარში ბატონი ანგული ისეთივე უშუალოა, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ჩვენი დიალოგიც ასე იწყება.

უბერებელი ანგული მიქავა

საიდან იწყება თქვენი შრომითი ბიოგრაფია, თქვენი პირველი კარიერული ნაბიჯები?

–ვგრძნობ, მრავალი კითხვის დასმას აპირებთ, შევეცდები მოკლედ გიპასუხოთ, წინასწარ გეტყვით, რომ დიდი პატივისცემის გრძნობით ვარ განწყობილი თქვენი და თქვენი კოლეგების, განსაკუთრებით თქვენი რედაქციის მიმართ. აქვე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ დღეს ადამიანის თავისუფლების ხარისხი ძალზე მაღალია და ბეჭდური მედიასივრცე თუ ტელევიზიები თავისუფალნი არიან ყოველგვარი ცენზურისგან.

გეტყვით, რომ ჩემი შრომითი ბიოგრაფია ხობს არ გასცილებია, თუ არ ჩავთვლით სტუდენტობის წლებს. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე სოფელ ახალსოფელში მუშად, შემდეგ ვეტსანიტრად და ზეინკალ-შემკეთებლად. გულწრფელად გეტყვით, სწორედ იქ გატარებულმა წლებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემს მომავალზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ გამომუშავებული თანხა ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას დიდად არ აუმჯობესებდა, სწორედ ამ კოლექტივში ვიგრძენი მშრომელი კაცის მადლი, სიკეთე, მეგობრობა, ურთიერთგატანის, პატივისცემის, პრობლემების გადალახვის გზების ძიების საუკეთესო პროცესები.

ყველაფერ ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მშობლებს, განსაკუთრებით მამაჩემს, რომელიც დაუღალავად, მუდმივად აკვირდებოდა ჩემი ცხოვრების ყოველდღიურობას, ყოველთვის უსიტყვოდ ვგრძნობდი მის სიახლოვეს, რომელიც უჩინრად მეხმარებოდა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

რაც შეეხება კარიერულ წინსვლას, არ მიყვარს ეს სიტყვა. რაიონის მაშინდელმა აქტივმა გამიცნო რაიკომის პირველ მდივნის ბატონ ამირან როგავას მეშვეობით. მაშინ პატარა ფოთის მეურნეობაში ინჟინრად ვმუშაობდი. სიახლეებისადმი ჩემი დამოკიდებულების მაგალითი იყო, რომ პირველად დასავლეთ საქართველოს ისტორიაში ჩვენთან დაინერგა სიმინდის მარცვლის მექანიზებული წესით აღება. სწორედ ბატონ ამირან როგავას ინიციატივით მოვაწყვე ნოჯიხევის კოლმეურნეობაში, რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის კომბაინით სიმინდის აღების პრეზენტაცია.

თქვენი განვლილი გზიდან, რომელი იყო ყველაზე წარმატებული წლები, რატომ?

–პასუხს ორ ნაწილად გავყოფდი. პირველი ეტაპი 1990 წლამდე და მისი შემდეგდროინდელი, როცა რაიონის გამგებლად მომიწია მუშაობამ.

წარმატებული წლების პირველ ეტაპზე, რაიონის თავკაცი გახლდათ ბატონი ნუგზარ ნადარაია. მე ვიყავი მისი გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი და თანამებრძოლი. ჩვენ ერთად შევძელით გარდატეხა მოგვეხდინა რაიონის ეკონომიკაში, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში, დავნერგეთ უახლესი ტექნოლოგიები და ყველა დარგი რენტაბელური გავხადეთ, ვფიქრობ, იმ პერიოდში წინსვლა დაეტყო განათლებას, კულტურას, სპორტს, ინფრასტრუქტურას, დასანანია, რომ ყველაფერი ეს შემდგომ წლებში ვერ შევინარჩუნეთ.

რაც შეეხება მეორე ეტაპს, ეს იყო ჩემი რაიონის გამგებლად მუშაობის პერიოდი, ვფიქრობ, გამგეობა დავაკომპლექტე უპატიოსნესი, პირუთვნელი, უანგარო და პროფესიონალი სპეციალისტებით. ეს წლები იყო ურთულესი, აუტანელი კრიმინოგენური ვითარებით, ნულამდე დაყვანილი ეკონომიკით, სიღარიბით, გაუცემელი პენსიებით და ხელფასებით, უშუქობით. მოშლილი იყო თითქმის ყველა სტრუქტურა.

დღესაც არ გამნელებია პედაგოგის, ექიმის, გაჭირვებული ადამიანების და განსაკუთრებით ბავშვების ცრემლიანი თვალების ყურებით გამოწვეული ემოცია. ყოველდღე ვისმენდი სამართლიან კრიტიკას და საყვედურებს ექიმებისგან, პედაგოგებისგან, პენსიონრებისგან... პრობლემების გადაწყვეტის გზები, უახლოეს მომავალში არ ჩანდა. მიუხედავად ამისა, ვცდილობდი გამეთავისებინა თითოეულის გაჭირვება, რწმენა და უკეთესი მომავლის იმედი ჩამესახა მათთვის.

ეს იყო ურთულესი პერიოდი ჩემთვის და რაიონისთვის. სწორედ მაშინ, როცა არცერთი ინვესტიცია არ შემოდიოდა რაიონში, ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ მოახერხა და ყულევში უცხოელი ინვესტორები ჩამოიყვანა, რომლებიც პირველ ეტაპზე ასოცი მილიონი დოლარის ჩადებას გვპირდებოდნენ. ამ პროექტის განხილვისას, იყო წინააღმდეგობები, ტალახის სროლა, ათასნაირი ბრალდებები, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მაგრამ ბატონი გოდერძის პრინციპულობამ და საღად მოაზროვნე ადამიანთა მხარდაჭერამ, საკითხი დადებითად გადაწყვიტა. ამის შემდეგ, რაიონის ფინანსური მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდებოდა. ნიშნის მოგებით არა, მაგრამ მინდა შევახსენო ყველა იმათ, ვინც პირადი ინტერესების გამო მხარს არ უჭერდა რაიონისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამ პროექტს, რომ ყულევის ტერმინალს არამც თუ მაშინ, არამედ დღესაც უდიდესი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

მიუხედავად სიდუხჭირისა, ვამაყობ, იმით რომ სწორედ ჩემი და ჩემი გუნდის პრინციპული მიდგომის შედეგად, დავიწყეთ ხობის ცენტრში ეკლესიის მშენებლობა, ჩვენ მუდმივად ვგრძნობდით ხობისა და ფოთის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე გრიგოლის თანადგომას და ლოცვა-კურთხევას. რა თქმა უნდა, ამ საქმეშიც გვყავდა მოწინააღმდეგეები, რომლებიც ფარულად თუ ღიად, მედიითა თუ სხვა საშუალებებით გვიპირისპირდებოდნენ. დღეს ეს ეკლესია ხობის ცენტრში ერთ-ერთი უმშვენიერესია სულიერებისა თუ არქიტექტორული ნაგებობის თვალსაზრისით.

აქვე მინდა გავაგრძელო კითხვა–თქვენი ცხოვრების რომელი ეტაპი იყო ყველაზე რთული, როგორ გადალახეთ ის?

–არ მინდა კითხვას გავექცე, ეტყობა ამ კითხვის დასმაზე თქვენ ნაფიქრალი გაქვთ. ყველაზე რთული პერიოდი ჩემს ცხოვრებაში იყო ჩემი უსამართლოდ დაპატიმრება. ვამბობდი და ვამბობ საჯაროდ, შეიძლება შეცდომები მქონდა მუშაობაში, მაგრამ დანაშაული არასოდეს ჩამიდენია. ჩემი შეცდომა მდგომარეობდა სამსახურების უფროსებისადმი ზედმეტი ნდობით. დღესაც თამამად ვაცხადებ, რომ თუნდაც ერთი პიროვნება აღმოჩნდება ისეთი, რომელიც ჩემს ანგარებას ან გარიგებით საკითხის გადაწყვეტას დამიმტკიცებს, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მზად ვარ პასუხი ძალიან მკაცრად ვაგო, არადა, ალბათ, ხობელებს ახსოვთ რამდენი ბინა მქონდა თბილისში, რამდენი მსუბუქი მანქანა, ძვირფასეულობები და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ცილისწამება იყო. ხალხი ხედავს, რომ მე არაფერი ქონება არ გამაჩნია გარდა ქ. ხობში საკუთარი სახლისა, რომელიც მამაჩემის დახმარებით არის აშენებული. მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე შენი თბილი ოჯახი და შენი ხალხია, რომელთა თვალებშიც სიყვარული იკითხება.

დაბრკოლებების გადალახვა სამუშაო მოტივაციას გიძლიერებდათ თუ...

–დაბრკოლებების გადალახვაში ჩემი სიმართლე და გულწრფელობა დამეხმარა. ადამიანები, რომლებსაც ჩემი სჯეროდათ, გვერდით დამიდგნენ. მინდა მივმართო მათ, მე თქვენზე ვფიქრობ მეგობრებო, მინდა შევიკრიბოთ და მოვეფეროთ ერთმანეთს, გავიხსენოთ ჩვენი წარსულის კარგი მომენტები და ვიფიქროთ მომავალზე, რომელიც ურთიერთპატივისცემასა და ნდობის აღდგენით წარმატებული იქნება. სწორედ ეს გაგვაძლიერებს და გაგვიჩენს მოტივაციას, ვიფიქროთ ჩვენი ოჯახისა და ქვეყნის უკეთეს მომავალზე.

თქვენ საკმაოდ დიდი ხანი იყავით რაიონის ხელმძღვანელი, ძალიან რთულ პერიოდში მოგიხდათ მუშაობა, რაში მდგომარეობდა ეს სირთულეები, როგორ გაართვით მას თავი და საერთოდ, რას ფიქრობთ, როგორი პიროვნება შეიძლება იყოს ხელმძღვანელი–ლიდერი, რა თვისებები უნდა ჰქონდეს მას?

–მე უკვე ვთქვი, რომ რაიონთან ერთად ძალიან რთული პერიოდი გამოვიარე. რა თქმა უნდა, ჩემით ყველა კმაყოფილი ვერ იქნებოდა, მაგრამ მე დღეს ქუჩაში მხვდებიან ადამიანები, რომლებიც მახსენებენ ჩემს მიერ დადებითად გადაჭრილ და გაკეთებულ საქმეებს, მიხდიან მადლობას. ამაზე დიდი ჯილდო არ ვიცი რა უნდა იყოს. გარდა ამისა, არასოდეს მიფიქრია ბოროტება ბოროტებით გადამეხადა. რაც შეეხება ხელმძღვანელ პირს, იგი უნდა იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, მაქსიმალურად ახლოს იყოს ხალხთან და გრძნობდეს მათ მაჯისცემას, უნდა ცხოვრობდეს მათი ცხოვრებით. რაც მთავარია, არ უნდა იყოს პრინციპებით მოვაჭრე. უნდა აღვნიშნო, რომ დღეს, მყარი საფუძველი შეექმნა დემოკრატიას, ძალაუფლება, ქვეყნის მართვა გადადის ხალხზე, მოსახლეობის საღ აზრს ძალა აქვს.

მიუხედავად ამისა რთულ, უიმედო მდგომარეობაში მყოფმა, ყოველთვის შეძელით ფეხზე წამოდგომა და არა მარტო... წარმატებული ადამიანი ხართ თუ იღბლიანი? რაში მდგომარეობს ცხოვრების წარმატების საფუძველი?

–მიუხედავად რთული ცხოვრებისა, ფარ-ხმალი არასოდეს დამიყრია. ზურგს ყოველთვის ჩემი ოჯახი და ჩემი გარემოცვა მიმაგრებდა. არასდროს წავქცეულვარ, ყოველთვის მყარად ვიდექი ფეხზე. გითხარით, ჩემი ცხოვრება მუშის სტატუსით დაიწყო და რაიონის თავკაცი გავხდი. ვერ გეტყვით, რომ რაღაც წარმატებებს მივაღწიე, მაგრამ ვიტყვი, მე ყოველთვის ჩემი რაიონის ცხოვრებით ვცხოვრობდი და დღესაც ასე ვცხოვრობ.

დავუბრუნდეთ ისევ ხობის საპატიო მოქალაქეობას, რას ნიშნავს თქვენთვის ხობი, ხობელობა, მისი საპატიო მოქალაქეობა?

–მეამაყება, რომ ვარ ხობელი, რაიონის ერთ-ერთი მეისტორიე, მისი საპატიო მოქალაქე, ბედნიერი ვარ, რადგან აქტიური მონაწილეობა მივიღე რაიონის სულიერ და ეკონომიკურ აღორძინებაში. ხობის საპატიო მოქალაქეობა, ჩემთვის არის ყველაზე აღმატებული და საპატიო, რადგან ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად, უკავშირდება და ეძღვნება ხობს და ხობელებს. მადლობა იმ ადამიანებს, რომელთა მეშვეობითაც მომენიჭა ეს წოდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დღეს რაიონის ხელმძღვანელების აქტიური მუშაობის შედეგად, დაწყებულია კულტურულ-სპორტული ობიექტების ინფრასტრუქტურის აღდგენა, რომლის მშენებლობაში ბატონ ნუგზარ ნადარაიასთან ერთად მეც ვმონაწილეობდი და რომელიც დღეს თითქმის დანგრეულია. მადლობა მათ ამისთვის.

რას იტყვით ოჯახზე, შვილებზე, შვილიშვილებზე. ამბობენ, რომ არაჩვეულებრივი ბაბუა ხართ...

–მეამაყება, რომ მე და ჩემმა მეუღლემ, ერთად შევძელით ჩამოგვეყალიბებინა ქართული ოჯახი, რომელიც ჩვენი მამა–პაპების ტრადიციებზეა დაფუძნებული. ვამაყობ ჩვენი შვილებით, მიუხედავად ჩვენს მიერ ჩადებული მწირი ინვესტიციისა, მათ თვითონ გაიკვლიეს გზა, ჩამოყალიბდნენ საქმის პროფესიონალებად, სამსახურსა და საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ. შვილიშვილები კი ჩემთვის ყველაფერია, ისინი მამხნევებენ, მოტივაციას მიძლიერებენ და კომპლიმენტებითაც–უბერებელი ანგული მიქავა–მამკობენ.

შეკითხვა, რომელიც ვერ დაგისვით, მაგრამ გინდათ თქვათ, რომ...

–სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს. ჯერ კიდევ 2002 წელს, როდესაც თელავის საპატიო მოქალაქეობა მომანიჭეს, ბრძენმა კახელებმა დამმოძღვრეს–წლები მალე გაირბენს, შეეცადე აღადგინო შენი განვლილი ცხოვრების არქივი და შეკარი ის ერთ წიგნადო. ვეცდები ეს დავალება შევასრულო.

გმადლობთ!

ესაუბრა მანანა შულაია.

წარსულით გაბრწყინებული აწმყო

„ღონიერი და ჭირთამძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია“, ბრძანებდა თავის დროზე ერის სულიერი მამა ილია მართალი.

ჭკუის ცოდნით მოსართავი, ასაყვავებელი ადგილი დასაბამიდან ყოველთვის იყო სკოლა, ცოდნის ტაძარი, სადაც ადამიანი უნდა იწვრთნებოდეს გონებით, ზნეობით, სულით და ხორცით.

მოზარდის სულიერი და ხორციელი განვითარების უძველესი სკოლა არის ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა, რომელიც 1918 წელს დაარსდა, ცნობილი პედაგოგის ზოსიმე ჯიშკარიანის მიერ. თავდაპირველად იგი დაწყებით სკოლას წარმოადგენდა, რომელმაც ათეული წლის განმავლობაში იფუნქციონირა, ბევრ სახელხმიან ადამიანს დაულოცა გზა დიდი ცხოვრებისკენ. შემდეგ არასრულ სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1961 წლიდან საშუალო სკოლად იწოდებოდა. დღესაც ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლა არის უამრავი სახელოვანი ადამიანის გამზრდელი. მისი კურსდამთავრებულები ამშვენებენ, როგორც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ტაძრებს, ასევე აღმშენებლობით შრომით ფერხულს. აი არასრული სია ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულების: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელიზბარ ნადარაია, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი–ალექსანდრე ჯიშკარიანი, ვაჟა ჯიშკარიანი, ასოცირებული პროფესორი–მურად ნარსია, ბესიკი ბასილაია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი მურთაზ კვირკვაია...

როგორც ცნობილია, სკოლის იმიჯს, ავტორიტეტს განაპირობებდა და განაპირობებს, ღრმა ერუდირებული, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული მასწავლებლები. ამ სკოლას ასეთი გამორჩეული პედაგოგები უამრავი ყავდა და ყავს. მიხეილ ბასილაია, ეთერ ჯოჯუა, კარლო ვარდია, ლიონ სიჭინავა, ციალა პერტაია, ინდიკო შამათავა, ქეთო გაგუა... ეს გახლავთ ის პედაგოგები, რომლებიც ქმნიდნენ სკოლის ამინდს და ავტორიტეტს. დღეს კი მათ გზას სახელოვნად მიუყვება ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. ამას მოწმობს ეროვნული გამოცდის შედეგები და საატესტატო გამოცდები.

ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარეს ჩვენმა კურსდამთავრებულებმა: გიორგი ნადარაიამ–ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხატია ვარდიამ–ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მარიკა ვარდიამ–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ანანო შამათავამ–აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გოჩა ბასილაიამ–ზუგდიდის მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნანა კვირკვაიამ–საქართველოს უნივერსიტეტი. მათ მიიღეს 50%, 70%, 100%-იანი გრანტები. საატესტატო გამოცდების შედეგებით ატესტატი აიღო კურსდამთავრებულთა 92%-მა. „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში სკოლას ყავს ოთხი საბაზო საფეხურის ბენეფიციარი– ელენე ჩხეიძე, დიმიტრი ჩხეიძე, ეკა ვარდია, ნანა კიტია. 2016-2017 სასწავლო წელს კი 15 პირველკლასელი შემოუერთდა ცოდნის ტაძარს.

ანბანური ჭეშმარიტებაა, ყველა დროს თავისი გასაღები აქვს. ყველაფერი განიცდის არსებით ცვლილებას. ასეა განათლების სისტემაც. რა თქმა უნდა, ის ინოვაციური სიახლეები, ახლებური ხედვები, სწავლის მეთოდები სრულიად უპრიანია.

XXI-ე საუკუნის მოზარდის გონების თვალსაწიერი არსებითად სხვანაირია, ამიტომ მისი სრულყოფილი ფორმირება თავისთავად მოითხოვს მეტამორფოზას. ყოველივე ეს კარგად აქვს გათვითცნობიერებული სკოლას და ჩაერთო საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში–G-PRIED-ში. პროექტის ფარგლებში მასწავლებლები დაეუფლნენ სწავლების ეფექტურ და ინოვაციურ სისტემებს. მათ დანერგეს ახალი სასწავლო მიდგომები და რესურსები სასწავლო პროცესში. პროექტი დაეხმარა მასწავლებლებს სასკოლო დიაგნოსტიკური და განვითარებული შეფასების ეფექტურად გამოყენებასა და მოსწავლეთა მიღწევების რეგულარულ მონიტორინგში. მასწავლებლებმა შეიმუშავეს სასწავლო რესურსები, რამაც ხელი შეუწყო სწავლა-სწავლების გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა სასწავლო გამოცდილების გამდიდრებას. სკოლას ყავს სერთიფიცირებული მასწავლებლები. 2016 წელს მასწავლებელთა გამოცდა წარმატებული აღმოჩნდა ნანა ნადარაიასთვის. ხვალ და ზეგ მეტ მიღწევას ველით, რაც ამ სახელხმიანი სკოლის ავტორიტეტს, იმიჯს კიდევ უფრო გამოაბრწყინებს.

მაია ქაჯაია,
ახალი ხიბულის №1 საჯარო სკოლის დირექტორი.

„განათლებული თაობა– წარმატებული მომავლის გარანტი!“

ნომრის სტუმარია ნანა ლიტვინენკო– ქვალონის №1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი– „მასწავლებელ -ტრენერთა საზაფხულო სკოლა–SIT (აშშ) კონკურსის მონაწილე, ფინალისტი“.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

ქალბატონო ნანა, გაეცანით მკითხველს?

–მე გახლავართ ნანა ლიტვინენკო, დაბადებული აფხაზეთში–სოხუმში–1978 წლის 3 სექტემბერს. ვამაყობ, რომ ვარ საქართველოს ამ ულამაზესი კუთხიდან.

დამთავრებული მაქვს ქ. ქუთაისის (1995-2000 წ.წ.) ჰუმანიტარული ლიცეუმი, შემდგომ ვსწავლობდი და დავამთავრე იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი (2001–2003 წ.წ.) ყულევის შპს. „შავი ზღვის ტერმინალში თარჯიმნად. 2009 წლიდან ვმუშაობ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად.

მყავს ორი შვილი–ვივიანა და ანრი შენგელიები. ისინი ხობის №1 საჯარო სკოლის წარმატებული მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებსა თუ ტურებში. ანრის წარმატებები მე-8 კლასიდან დაიწყო, როცა ბიოლოგიის გაკვეთლზე დადგმულიქნა მინი გაკვეთილი სტრესთან დაკავშირებით. მისი აქტიურობით ტელეკომპანია „რუსთავი–2“-ის ეთერში გადაცემაში „ექიმები“ მთელი კლასი დამრიგებელთან და ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად მიწვევით მონაწილეობდა. მას მოჰყვა „წიგნების თარო“, ახლახან ანრი 24 საუკეთესო ნორჩ პროზაიკოსთა შორის შეირჩა. მისი ჰობია კითხვა და მოთხრობების წერა.

–2013 წელს აქტიურად ჩავერთე პროექტში–„ინგლისური ენა და სამოქალაქო განათლების გამოყენება,“ რომელიც განხორციელდა ორგანიზაცია „PH Interntional“ და „World Learning-SIT“–თან თანამშრომლობით. პროგრამა იმ მოდულს მოიცავდა, რომელსაც „Georgetown“ უნივერსიტეტის ტრენერი peter Boham გვიტარებდა. წარმატებით დავასრულე პროგრამა, შემდეგ მას Summer Gavnp“ (საზაფხულო სკოლა) მოჰყვა ქობულეთში. საინტერესო და პროდუქტიული იყო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 5 გამოცდილ ტრენერთან მუშაობა.

2016 წლის ზაფხულში იგივე ორგანიზაციამ გამოაცხადა კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ამჯერად ამერიკის შეერთებულ შტატებში. 500 მასწავლებელმა გააკეთა განაცხადი, მაგრამ მხოლოდ 22 შევძელით გადაგველახა კონკურსის პირობები და ფინალისტები გავხდით.

მასწავლებელთა „ტრენერთა საზაფხულო სკოლა“– SIT არის 18 დღიანი ინტენსიური კურსი აშშ-ს შტატ ვერმონტში, და „World Learning-SIT“-ის კამპესტზე ტარდება. წილად მხვდა ბედნიერება, მოვხვედრილიყავი 21 უნიჭიერეს ინგლისური ენის ქართველ მასწავლებელთან და უაღრესად პროფესიონალ და გამოცდილ ამერიკელ ტრენერებთან, რომელთაც თავიანთი გამოცდილება გაგვიზიარეს და ტრენერებად გადაგვამზადეს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი ჯგუფის ლიდერის, ქალბატონ ნანა იოსელიან-მეისნერი, რომელიც არის „PH Interntional“-ის დამაარსებელი საქართველოში. მან ჩვენ ერთიან გუნდად შეგვკრა დიდ ამერიკაში...

თქვენთვის რა არის იქ გატარებული დღეები, რას იტყვით ზოგადად იმ შტატებზე, ქალაქზე, სადაც თქვენ იყავით, სწავლების დონეზე?..

–მე და ჩემი ქართველი კოლეგები ვეზიარეთ ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და კონტინეტზე დაფუძნებული სწავლების სპეციფიკას. გავეცანით ამერიკული ცხოვრების წესსა და კულტურის თავისებურებებს.

სარეიტინგო კურსის დამთავრების შემდეგ გადმოგვეცა საბაზისო დონის „World Learning-SIT Essential inteacher trainig“ სერთიფიკატი.

დაბრუნებისთანავე ვცდილობ, მიღებული ცოდნა საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვაში გამოვიყენო და ის ინგლისური ენის მასწავლებლებს გავუზიარო.

მას შემდეგ, რაც მიღებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს ჩემი მუნიციპალიტეტის პროფესიულ წრეებში დავნერგავ, ამერიკელი ტრენერები ერთი კვირის განმავლობაში დააკვირდებიან ამ პროცესს და გააკეთებენ უკუკავშირს. შემდგომ გადმომეცემა „Core Pnactitioner in Teocher Tuiring“ ზედა დონის სერთიფიკატი.

გარდა ვერმონტის შტატისა, გახლდით 4 შტატში (ნიუ ჯერსი, ნიუ პემფშაიე, მესჩუსეტეტი, ნიუ-იორკი, ბოსტონი. მოვინახულეთ ჰარვარდის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი თავისი სუნთქვაშემკვრელი ცათამჯენებით „time sovduare“ „Broadway“ „Nev York Libruary“, „Central Park,“ „Saint, Patrics Cathedval (წმინდა პატრიკის ტაძარი), The Statue of Libertu (თავისუფლების ქანდაკება).

ეს არის ქვეყანა, სადაც ხალხი კანონს ემორჩილება, ქვეყანა, სადაც განსხვავებულ აზრს პატივს სცემენ, ქვეყანა, სადაც შრომა ფასდება...

რა შეგძინათ იმ 18 დღემ და როგორ განახორციელებთ იმ გამოცდილებას კოლეგებთან, მოსწავლეებთან? რას უსურვებთ მათ?

–დიდი სურვილი მაქვს, ჩემი ამერიკული გამოცდილება გავუზიარო ქართველ პედაგოგებს, ჩემს ქვეყანას ვუსურვებ, მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს, რომელთაც ევალებათ ქვეყანას განათლებული, ჯანსაღი, მოაზროვნე თაობები აღუზარდონ, ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის უდიდესი გარანტები არიან.

თქვენი ხვალინდელი დღე...

–ჩემი ხვალინდელი დღე ჩემი შვილები და მათზე ზრუნვაა, მათი ლამაზი და ბედნიერი მომავალი. ასევე ჩემი მოსწავლეები, მათი წარმატებები და მიღწევები.

ესაუბრა
ნანი კილასონია

სულთათანა

ზინა წულაია

ამ რამდენიმე დღის წინ ქ. ხობის №1 საჯარო სკოლამ იმქვეყნად გააცილა ყველასთვის უსაყვარლესი, დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი და თბილადმოსაგონარი ქალბატონი ზინა წულაია. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მუშაობა ჩვენს სკოლაში, ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, განსაკუთრებულად უყვარდა თავისი საქმე. იყო კოლეგიალური, ყურადღებიანი, ბევრ ადამიანურ თვისებას ვსწავლობდით მისგან. ვისაც მისი გაკვეთილები, მისი მშვიდი, გაწონასწორებული სახე და მოქმედება ახსოვს იმ გაკვეთილებიდან, სიყვარულით მოიგონებს ზინა მასწავლებელს.

უკვე ასაკოვან მის მოსწავლეებს, ასევე კარგად ახსოვთ მისი გარეგნული იერი: მაღალი, მოხდენილი, ოდნავ ხვეული ღამაზი თმებით, მოუშორებელი ღიმილით. არასოდეს სჭირდებოდა ხმის აწევა გაკვეთილზე. მშვიდსა და წყნარს, გაკვეთილებიც მშვიდი ჰქონდა. ზომიერად მშობლიური დამოკიდებულება მოსწავლეებთან განსაკუთრებულ სითბოსა და პატივისცემას იწვევდა მის მიმართ. ასეთად დარჩება იგი მრავალრიცხოვან მოსწავლეთა მეგობრებისა და მასწავლებელთა ხსოვნაში. ბუნებამ ინება და ამქვეყნიური სიცოცხლის ხანგრძლივობითაც დაასაჩუქრა. გაიხარა თავისი მრავალრიცხოვანი რჩეული ოჯახით. იყო საუკეთესო მეუღლე, დედა, ბებია. გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, მისი კარები მუდამ ღია იყო ყველასთვის.

ვწუხვართ და ვნანობთ სიცოცხლის ბოლო დღეებში ვერ მოვეფერეთ, როგორც საჭირო იყო. ბევრჯერ მოგვნატრებია ზინა მასწავლებლის იუმორი. დღეს კი ყველანი, მისი კოლეგები, ახლობლები, ყოფილი მოსწავლეები ვუერთდებით ოჯახის, ნათესავების მწუხარებას.

მარადიულ ნათელში იყოს ძვირფასი მასწავლებლის, ზინა წულაიას სული.

ქალაქ ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

ზურაბ ფაჩულია

რა შემზარავია სიტყვა სიკვდილი. რამდენი ტკივილი და მწუხარება დაიტია ამ სიტყვამ ერთი წლის განმავლობაში, 28 ოქტომბერი ის ავბედითი დღეა, როდესაც შენმა გულმა სამუდამოდ შეწყვიტა ფეთქვა. შენმა უეცარმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა. ვერ ვეგუებით უშენობას. აზრს, რომ სამუდამოდ გაჩერდა შენი კეთილშობილი, გული. გული, რომელიც უსაზღვროდ იტევდა ოჯახის, სისხლ-ხორცის, მეგობრების და მეზობლების სიყვარულს.

დაგვაკლდი ყველას...

შენ ამქვეყნად ისე იცხოვრე, რომ შენი ოჯახის მომავალ თაობებს არ დასჭირდებათ სირცხვილისგან თავის დახრა, რადგან მათ დარჩათ შენი ცხოვრება იმის მაგალითად თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

ერთი წელი თითქმის საკმარისი იყო უდიდესი ტკივილის გასაყუჩებლად, მაგრამ არა, ასე არ ყოფილა. დღეს უფრო მეტად გვტკივა, გვენატრები და გაფასებთ, ვიდრე ოდესმე.

მშვიდად განისვენე სასუფეველში ჩვენო ძვირფასო, შენს მფარველობას ნუ მოგვაკლებ... ჩვენ კი ხშირად მოვალთ შენს საფლავთან, მოვეფერებით ცივ ქვაზე დახატულ შენს ღამაზ თვალებს და ცრემლიანები ჩაგძახებთ: არასოდეს, არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო ძვირფასო.

მეულლე, შვილები: სოფო, პაპუნა. რძალი ნანა, შვილიშვილები: ნინო, გიორგი.

ზაზა კობახიძე

ზაზა, შვილო, ჩემო სიხარულო! მეხუთე წელია ტანჯვით მიდის ცხოვრება, გიკვირს ალბათ, რომ ისევ ცოცხალი ვარ, მეც ძალიან მიკვირს ჩემო თვალისჩინო. მე ვარ დედა, რომელიც შენი არსებობით სუნთქავდა, შენი სიცოცხლით ცხოვრობდა, უშენოდ სიცოცხლე ვერც კი წარმომედგინა საყვარელო, მაგრამ მაინც ვარსებობ და ვერ ვხვდები როგორ, თუმცა უშენოდ გამოვლილი ამ უაზრო ხუთი წლის თითოეული წუთი და წამი ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იყო.

ჩემო სიცოცხლევ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიხარული შენი ამ ქვეყნად მოვლინება იყო. 14 ოქტომბერს დიდი სიხარულით მოველოდი ყოველთვის, როცა უფალმა მაჩუქა არაჩვეულებრივი შვილი–ნამდვილი ვაჟკაცი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე. ახლა კი ამ რიცხვის მოახლოება ჩემთვის საშინელი სევდის მომგვრელია.

დაუფიქრებლად შეგეძლო თავი გაგეწირა საყვარელი ადამიანებისთვის. ჭირში და ლხინში მათ გვერდით ყოფილიყავი, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდი.

დედა, შვილის სიკვდილს არ უნდა მოესწროს, ეს ყველაზე დიდი უსამართლობაა. მე იმ დღეს მოვკვდი, როცა ჩემი შვილის გარდაცვალება მაცნობეს, მაშინ ჩაესვენა ჩემთვის მზე; მაშინ ამომგლიჯეს გული მკერდიდან, სული კი მახრჩობს და მხოლოდ აჩრდილი დავდივარ ამ ქვეყნად სულიერად, მორალურად განადგურებული.

ზაზუ, დედი! დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, ის ენით აუწერელი მონატრებაა, წარსულზე ფიქრი–შენი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე. მენატრება ის სანუკვარი წუთები, როცა გულში ჩამიხუტებდი და თავზე მკოცნიდი, მენატრება ის ბედნიერი დრო, როცა მეუბნებოდნენ, რა კარგი შვილი გყავსო. ახლა კი ვინ ვარ შვილო–შვილმკვდარი დედა, რომელსაც სახელი არა აქვს, ამ საშინელ ტკივილსა და ტანჯვას რა დრომ უნდა უმკურნალოს. ეს ხომ განუკურნებელი სენია, ამქვეყნიური ჯოჯოხეთი.

ზაზუ დედი, შენი ერთადერთი დაიკო, დისშვილი მანანა და ლიკა, რომლებსაც აღმერთებდი, შენს გამო დათრგუნულნი არიან. მათთან ვერიდები შენს ხსენებას, ამიტომაც გულში ვიკლავ იმ მწარე სევდას, რასაც უშენობით განვიცდი.

ჩემო სანუკვარო შვილო! დღემდე მასულდგმულებს რწმენა ჭეშმარიტებისა, რომ შენ ცოცხალი ხარ, მხოლოდ გარდაიცვალე და სხვა სამყაროში ცხოვრობ. იმედია, ღვთის სასუფეველში, სწორედ ეს მაძლევს ძალას, ვიარო ეკლესიაში და ვილოცო შენი სულის სადიდებლად, ვგრძნობ, რომ მუდამ ჩემს გვერდით ხარ, ძვირფასო.

მოვა დრო, იმედია მალე, უფალი წამიყვანს იმ ქვეყნად და აუცილებლად შემახვედრებს შენს სულთან, მაშინ კი ჩაგიხუტებ გულში და არასოდეს მოგშორდები.

ჩემო ვაჟკაცო! ადამიანების უზომოდ მოყვარულო შვილო, ზაზუ! ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს გამორჩეულად უყვარდი, დღესაც ისევე უყვარხართ, მუდამ შენს ხსენებაში არიან. მადლობა მათ.

ჩემო სიამაყევ! უზომოდ მიყვარხარ და მენატრები.

შენი დედიკო, ზაირა კვინჩია– კობახიძე.

ოთარ კობახიძე



ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული და გამორჩეული პიროვნება გამოაკლდა. 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ოთარ კობახიძე–კაცი, რომელიც გამორჩეული თავმდაბლობით, პატიოსნებით, მაღალი პასუხისმგებლობით იდგა მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის სათავეებთან და მთელი შეგნებული ცხოვრება ქვეყნისა და ხალხის სამსახურში დაიხარჯა.

დაიბადა 1924 წელს სოფელ პირველ მაისში. სკოლის დამთავრებისთანავე ქვეყნის სამსახურში ჩადგა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ძალიან ახალგაზრდა იბრძოდა ზურგში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ გამანადგურებელ ბატალიონში. სადაც კომკავშირის კომიტეტის მდივანიც იყო. პროფესიით ისტორიკოსსა და აგრონომს, დამთავრებულო ჰქონდა საქართველს ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლა.

სხვადასხვა დროს ოთარ კობახიძე იყო საქართველოს ალკკ ხობის რაიკომის ჯერ მეორე, შემდეგ პირველი მდივანი, პარტიის რაიკომის პროპაგანდისტი, ინსტრუქტორი, რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, რაიკოოპერატივის დამზადების კანტორისა და დაფნის კომბინატის დირექტორი.

1972 წლიდან პენსიაზე გასვლამდე კი ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი აგრონომი იყო. სადაც კი იმუშავა ოთარ კობახიძე ყველგან გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, კოლეგიალობით, დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგულებით, საუკეთესო ადამიანური თვისებებით.

დასანანია, რომ ასეთი ადამიანები მიდიან ამ ქვეყნიდან, მაგრამ საამაყოა, მათ მიერ გავლილი ცხოვრების გზა, რომელიც სიკეთითაა გასხივოსნებული.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ვუსამძიმრებთ მის ღამაზ ოჯახს, შვილებსა და შვილიშვილებს საამაყო მამისა და ბაბუას გარდაცვალების გამო. მწუხარებით ვემშვიდობებით და უფალს ვთხოვთ ცათა სასუფეველში დაუმკვიდროს ბინა.

მერი ლაგვილავა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ოჯახს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის

ოთარ კობახიძის

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს საკრებულოს წევრს ბატონ ედიშერ წურწუმიას დედის

ზინა წულაიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები მწუხარებით თანავუგრძნობთ რედაქციის ყოფილ განყოფილების გამგეს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბატონ ედიშერ წურწუმიას ოჯახს დედის, ღირსეული პედაგოგის

ზინა წულაია-წურწუმიას

გარდაცვალების გამო.

ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები იუწყებიან სამმართველოს ყოფილი უფროსი აგრონომის

ოთარ კობახიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

აუქციონი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართი №1

№-	ქონების დასახლება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო წონა (კგ)	აუდიტორული შეფასება (ლარი)	ბიჯი%	„ბე“	შენიშვნა
1	ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რემონტის შედეგად მიღებული მეორადი მოთუთიებული ფურცლოვანა (ჯართი)	-	375	130	13	13	საბალანსო ღირებულება არ გააჩნია
2	ალუმინის კარი (ჯართი)	-	25	50	5	5	საბალანსო ღირებულება არ გააჩნია

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 28 ოქტომბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–300403376, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინაამღდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში.

საკონტაქტო პირი–ლამზირა თოდუა–ტელ-599-85-60-91.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ღვთის მადლი არ მოჰკლებოდეს

საძირკველი მტკიცე რომ იყოს, იგი მოზარდმა სკოლამდელ დაწესებულებაში–საბავშვო ბაღაბაღში უნდა მიიღოს. რამდენადაც კარგად იმუშავებს მასწავლებელი პატარებთან, რამდენადაც ჩაუნერგავს მოზარდს სულსა და გულში ქვეყნისა და შრომის სიყვარულს, პატიოსნებასა და სათნოებას, სწრაფვას სიკეთისკენ, შემოქმედებითი აზროვნებისკენ, იმდენად საიმედოა მათი მომავალი.

სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა სამი ათეული წლის წინათ ნოჯიხევის №1 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელს მზია გადელიას.

ქალბატონმა მზიამ თავისი გამოცდილება და ენერგია მოახმარა პატარების ჯანსაღ თაობად ჩამოყალიბების ღირსეულ საქმეს. მას თავისი თავი სხვა ამპლუაში ვერც წარმოუდგენია. უნდა ითქვას, რომ წელთა სიმრავლის მიუხედავად, იგი სულაც არ უშინდება ასაკისგან შემოთავაზებულ „სიურპრიზებს“ და ენერგიულად განაგრძობს პროფესიულ საქმიანობას დაფუსფუსებს ბავშვებს, სითბოსა და სიყვარულს არ აკლებს მათ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო რადგან ის საამაყო მშობლების შვილია. მამა ბატონი ხუტუ გადელია წლების განმავლობაში ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას, გახლდათ დამსახურებული მასწავლებელი. ოჯახის ტრადიცია ქალბატონმა მზიამ ნოჯიხევში ასევე სახელოვან ბიძინა ჩიტაიას ოჯახში გააგრძელა. დღეს ის საოცრად კეთილშობილი, სიკეთით სავსე ქალბატონია, კარგი დედა და ბებია, შესანიშნავი ოჯახის ცალუღელა დიასახლისი. მეუღლის ბატონი ზაურის დატოვებულ კერას დღესაც მოკრძალებით ელოლიავება და შვილებსა და შვილიშვილებს გულთბილად მასპინძლობს.

ღვთის მადლი არ მოჰკლებოდეთ ქალბატონო მზია, გისურვებთ ჯანის სიმრთელეს, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, კიდევ დიდხანს გქონოდეთ ძალა და ენერგია, რათა აკეთოთ თქვენი საყვარელი საქმე, რასაც პატარების აღზრდა ჰქვია.

ნაირა ბერაია

სამადლობელი

–მინდა ყველამ გაიგოს ხობელმა მედიაოსებმა როგორი თავდადება, ცოდნა, პროფესიონალიზმი გამოიჩინეს და შემინარჩუნეს სიცოცხლე–ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი რედაქციის სტუმარმა ამირან გიორგაძემ.

ვცხოვრობ ახალხოფელში. 21 აგვისტოს ცუდად გავხდი. ოჯახის წევრებს გამოუძახნიათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. იმხანად სოფელში გზის მშენებლობა მიმდინარეობდა, რის გამოც ექიმებმა ჩემამდე წვალებით მოაღწიეს, მაგრამ გადაყვანა ვერ ხერხდებოდა, რადგან მანქანა სახლამდე ვერ შემოვიდა. მძღოლმა ხალხს უხმო და ისე გამომიყვანეს თურმე სახლიდან (მე სამი დღე გონდაკარგული ვიყავი) უდიდესი მადლობა სასწრაფო დახმარების იმ შემადგენლობას, რომელიც 21 აგვისტოს მორიგეობდა, მე მათი სახელგვარები არ ვიცი.

ჩემი სიცოცხლე იხსნა სულით ხორცამდე ლამაზმა ექიმმა ჯარდიოლოგმა ირინა ბერაიამ, რომლის დაჟინებული მოთხოვნით გადავუყვანივართ ზუგდიდის რეფერარულ საავადმყოფოში.

გმადლობთ, ქალბატონო ირინა, მჯერა თქვენი ცოდნა და გამოცდილება ჯიდევ ბევრ ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს. უფალი ჯი თქვენ გაგიხანგრძლივებთ სიცოცხლეს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ექთან თამილა ლეჟავას და დაცვის სამსახურის თანამშრომელს ტარიელ რეჯვავას, მუნიციპალიტეტის მთელ მედპერსონალს. ასევე ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის რეანიმაციული განყოფილების მთელ შემადგენლობას განსაკუთრებით ჯი ჩემს მკურნალ ექიმს მ. ჯალაღონიას.

ამირან გიორგაძე, ხობი, ახალი სოფელი.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.